# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

# CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

2019-2020 სასწავლო წელი №3(28)

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## HAPPY EASTER!



# დისტანციური სწავლება კსუ-ში





### ინტერვიუ ვიცეკანცლერთან, ქალბატონ ნინო ჩუბინიძესთან:

**— მსოფლიო პანდემიამ უნივერსიტეტები დისტანციური სწავლების აუცილებლობის წინაშე დააყენა. როგორ შეხვდა ამ გამოწვევას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი?**

— მსოფლიოში ახალი პანდემიის გამოცხადებისთანავე, 2020 წლის თებერვალში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაიწყო ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლისათვის საჭიროებების კვლევა, რათა გაზაფხულის სემესტრის ნაწილობრივ ან სრულად (გარდა მედიცინის პროგრამებისა) ელექტრონულ ონლაინსწავლების ფორმატში გადაყვანა უზრუნველეყო.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი ინსტიტუცია იყო, რომელმაც ამა წლის მარტის თვეში საჯაროდ დააფიქსირა 16 მარტიდან 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის მზაობა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ამ გაბედულ ნაბიჯს ლოგიკური და მყარი საფუძველი ჰქონდა. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ბოლო ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის თანმიმდევრულ პოლიტიკას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ეფუძნება და ავითარებს ელექტრონულ სწავლებას ევროპის უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის ENQA-ს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ასევე იზიარებს იუნესკოს რჩევებს ელექტრონული სწავლებისათვის ტექნოლოგიური სისტემის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადების შესახებ.

ელექტრონული სწავლების დაწყებამდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შექმნა ონლაინსწავლების მართვის ჯგუფი და განისაზღვრა მისი მოქმედების გეგმა, ელექტრონული პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც განხორციელდებოდა სწავლება, გადაამზადა ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ამ პლატფორმების გამოსაყენებლად; შეიძინა პროგრამების გამოყენების შესაბამისი ნებართვები და ლიცენზიები, მოამზადა სახელმძღვანელო ტუტორიალები როგორც პროფესორებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის: Webex-ის გზამკვლევი, Zoom-ის გზამკვლევი, Uni-voice-ის გზამკვლევი, Moodle-ის გზამკვლევი.

დღეისათვის უნივერსიტეტში ელექტრონულ სწავლებას აკადემიური პერსონალიდან 320 ადამიანი, 550 სასწავლო კურსისათვის ახორციელებს. ასევე შემუშავებულია სწავლების ხარისხის შემოწმების მექანიზმები და მიმდინარეობს ონლაინლექციებისა და სემინარების მონიტორინგი.

**— რა პლატფორმები აარჩია უნივერსიტეტმა?**

— უნივერსიტეტი რამდენიმე ელექტრონულ პლატფორმასა და ეკოსისტემას იყენებს, ესენია: Camtasia - ლექციების მომზადებისა და აუდიოვიზუალური ჩაწერის პროგრამა, სისკო Webex და Zoom პლატფორმები, ასევე Moodle-ის სისტემა და ახალი ეკოსისტემა Uni-Voice.

**— როგორ შეაფასებთ სემესტრის მიმდინარეობას ამ ვითარებაში?**

— უკვე ხუთი კვირა გავიდა, რაც ელექტრონულ სწავლებაზე გადავედით, ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული სირთულეები მეტწილად დავძლიეთ ტექნიკური პერსონალისა და პროფესორების მოტივაციის შედეგად, ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი სტუდენტების თვითშეგნებისა და ჩართულობის დონე. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდა. აქტივობა ფიქსირდება ლექციების ჩამოტვირთვისა და აღნიშულ პლატფორმებზე სტუდენტთა რეგისტრაციის მიხედვითაც.

**— პრაქტიკული კურსების პროფესორები როგორ უმკლავდებიან დისტანციური სწავლების ამოცანას?**

— პრაქტიკული კურსები, როგორიც არის: მედიცინის პროგრამებში კურაციული მეცადინეობები, პრაქტიკა, ლაბორატორიული მუშაობა და ა.შ გადატანილია პანდემიის შენელების პერიოდისათვის და ვიმედოვნებთ, რომ განახლდება და ჩატარდება ივნისი-აგვისტოს პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, სექტემბერ-ოქტომბერში.

**— საგამოცდო პროცესის დისტანციურად ჩატარებისას რა მექანიზმები არსებობს სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი მანიპულაციის გამოსარიცხად?**

— კსუ-ში ელექტრონული გამოცდების სისტემა 2019 წლიდან იყო დანერგილი, შესაბამისად, Moodl-ის სისტემის გამოყენების პრაქტიკა უკვე არსებობდა. დღეისათვის შუალედური გამოცდები ჩატარდება ელექტრონულად უმრავლეს საგნებში. ელექტრონულ გამოცდაზე შესვლა და მიმდინარეობა შეზღუდულია დროში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მხრიდან განხორციელებული შესაძლო მანიპულაციის შეზღუდვას. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მომზადებულია საგამოცდო საკითხების ბანკი თითოეულ საგანში, ამით უზრუნველვყოფთ ინდივიდუალური საგამოცდო ბილეთების გენერირებას თითოეული სტუდენტისთვის კონკრეტულ მოცემულ საგამოცდო საათზე.

საგამოცდო საკითხები შერეული ხასიათისაა, მოიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს, ეს იძლევა საშუალებას სტუდენტი შეფასდეს ობიექტურად. მიუხედავად საგამოცდო პროცესის დაცულობის მექანიზმების არსებობისა, ყველაზე დიდი დაცვა სტუდენტების კეთილსინდისიერებაა და, მიგვაჩნია, რომ რაც მეტად ვენდობით ახალგაზრდებს, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა გადაგვაქვს მათზე და ეს კიდევ უფრო ამაღლებს სტუდენტების თვითორგანიზებასა და თვითშეგნებას.

**ესაუბრა**
**ციცინო ბუკია**


საუნივერსიტეტო ცხოვრება
University Life 2-3

საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა
International Cooperation 4

კსუ–ს წარმომადგენლები მადრიდის რადიკალური ღვინის მეექვსე ფესტივალზე
CIU Representatives at The Sixth Radical Wine Festival in Madrid 5-6

მეცნიერება
Science 7-9

სპორტი
Sport 12

# საუნივერსიტეტო ცხოვრება UNIVERSITY LIFE

## პროფესიული ტური მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტზე

17 იანვარს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დეკანმა, ოლან გოცირიძემ და ფაკულტეტის პერსონალმა დარგით დაინტერესებულ სტუმრებს საკუთარ ბაზაზე უმასპინძლეს ღონისძიებით – „პროფესია მევენახე-მეღვინე“.

პროფესიული ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ბაზაზე არსებული მარანმუზეუმი (კოლხურ-იბერიული ტრადიციების სინთეზი); საკოლექციო ვენახი; თანამედროვე ლაბორატორიები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სადეგუსტაციო ოთახი; სტუდენტური სივრცე; საკონფერენციო ოთახი და სხვა.

ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ დაყენებული ღვინო დააგემოვნეს და უნივერსიტეტთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვეს.



## PROFESSIONAL TOUR AT THE FACULTY OF VITICULTURE-WINEMAKING

Mrs. Olan Gotsiridze, Dean of the Faculty of Viticulture-Winemaking at Caucasus International University and the faculty staff hosted the guests interested in viticulture-winemaking within the frame of the event “Profession – Viticulturist-Winemaker” on January 17.

Within the framework of the professional tour, the guests visited the Wine-Cellar Museum existing at the base of the Faculty of Viticulture and Winemaking of Caucasus International University (synthesis of Kolkhian-Iberian traditions); collection vineyard; modern laboratories; tasting room meeting international standards; student space; conference room, etc.

The guests tasted the wine made by the students of the Faculty of Viticulture and Winemaking towards the end of the event and expressed their wish for future collaboration with the University.



## ფინალური გამოცდები შეფასების თანამედროვე მეთოდით

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ქართულ და ინგლისურენოვან სტუდენტებს ფინალური გამოცდები შეფასების თანამედროვე მეთოდით, ობიექტურად სტრუქტურიზებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ფორმატით ჩაუტარდათ შემდეგ დისციპლინებში: პროპედევტიკა-ფიზიკური კვლევის მეთოდები; გინეკოლოგია/უროლოგია/კლინიკური უნარები; საბაზისო ქირურგიული უნარ-ჩვევები.



პირველად ამოქმედდა საგამოცდო პროცედურის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელმაც 12 სადგურზე სტუდენტთა გადაადგილებისა და დაყოვნების დროის ზუსტად და უხარვეზოდ მართვა უზრუნველყო.

შეგახსენებთ, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) – ცოდნისა და უნარების შეფასების ახალ მეთოდს წარმოადგენს და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სამედიცინო განათლების ერთ-ერთ ძირითად სტანდარტადაა აღიარებული.

ეს მეთოდი სტუდენტის მიერ შეძენილი კლინიკური უნარ-ჩვევებისა და კლინიკური კომპეტენციების შესაფასებლად გამოიყენება.

## FINAL EXAMS BY USING MODERN ASSESSMENT METHODS

Caucasus International University Georgian and international students of the Faculty of Medicine took final exams by using modern assessment methods, in the format of Objectively Structured Clinical Exam (OSCE) in the following disciplines: Propaedeutic-Physical Research Methods; Gynecology/Urology/Clinical Skills; Basic Surgical Skills.

An electronic system for examination procedure management has been implemented for the first time, which ensured accurate and unobtrusive management of student movement and delay time at 12 stations.

We would like to remind you that the Objectively Structured Clinical Exam (OSCE) represents a new method to assess knowledge and skills. Nowadays, it is approved as one of the basic standards of medical education by the World Federation of Medical Education and the World Health



Organization.

This method is used to evaluate acquired by students' clinical skills and their clinical competences.

## კსუ-სა და შპს „ჰიროს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

4 თებერვალს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და შპს „ჰიროს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. Hiro/ჰირო ინოვაციური პლატფორმაა, რომელიც მარტივად და ეფექტურად აკავშირებს ერთმანეთთან დამსაქმებელსა და დასაქმების მაძიებელს; საგანმანათლებლო პროგრამების მიმწოდებელსა და მაძიებელს; დამკვეთსა და შემსრულებელს.

Hiro უნიკალურია თავისი ფუნქციით, შესაძლებლობებითა და მასშტაბურობით. ჰიროს მიზანია მოიცვას არა მხოლოდ დედაქალაქი, ასევე რეგიონები და ტურისტული ლოკაციები.

პორტალი (hiro.ge) აერთიანებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- კორპორაციების ვაკანსიები;
- სტაჟირების პროგრამები;
- ფრილანსერები;
- ტრენინგები და საგანმანათლებლო პროგრამები;
- ტენდერები;
- სამუშაო მოხალისეობრივ საწყისებზე.

მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ საშუალება უსასყიდლოდ ისარგებლონ ჰიროს სერვისებით.




## THE MEMORANDUM OF MUTUAL COLLABORATION SIGNED BETWEEN CIU AND HIRO LTD.

The memorandum of mutual collaboration was signed between Caucasus International University and Hiro Ltd on February 4, 2020. Hiro is an innovative platform, which easily and effectively connects a potential employer and a job seeker; an organization offering educational programs and an interested individual; a customer and a performer.

Hiro is unique in terms of its functionality, capabilities, and scale. Hiro's goal is to cover not only the capital but also the regions and tourist locations.

The portal (hiro.ge) unites the following main directions:

- Vacancies offered by corporations;
- Internship programs;
- Freelancers;
- Training and educational programs;
- Tenders;
- Volunteering.

Students have the opportunity to use Hiro's service free of charge within the framework of the memorandum.



## „წარმატების ალგორითმი“ – ზაზა ცოტნიაშვილის ვორქშოფი მოსწავლეებისთვის

5 თებერვალს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელისა და მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილის ვორქშოფი გაიმართა თემაზე: „წარმატების ალგორითმი“.

თბილისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან ზაზა ცოტნიაშვილმა ისაუბრა მიზანმიმართული, კონცენტრირებული აზროვნებით წარმატების მიღწევის გზებზე, ასევე, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: მოტივაცია და წარმოსახვის უნარი; ოცნება, იდეა, გეგმა, განხორციელება; იკიგაი; დასაქმებული თუ დამსაქმებელი?; კომფორტის ზონის საფრთხე; დიმიტრი უზნაძე - განწყობა; რიჩარდ




ბრენსონი - Just Do It!; ნაპოლეონ ჰილი - წარმატების კანონები.

ვორქშოფის დასასრულს მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ.

## ALGORITHM OF SUCCESS – ZAZA TSOTNIASHVILI'S WORKSHOP FOR PUPILS

Professor Zaza Tsotniashvili conducted a workshop on the topic "Algorithm of Success" at Caucasus International University on February 5.

Mr. Zaza Tsotniashvili discussed the ways of achieving success through targeted, focused thinking with Tbilisi public and private school students. In addition, he placed emphasis on such significant issues as: motivation and imagination skills; dream, idea, plan, implementation; Ikigai; employee or employer?; the threat of comfort zone; Dimitri Uznadze – Attitude; Richard Branson – Just Do It!; Napoleon Hill – The Law of Success.

The participants were awarded certificates towards the end of the workshop.

We would like to remind you that Professor Zaza Tsotniashvili is the supervisor of the Caucasus International University Undergraduate Program in Journalism as well as the Postgraduate Program in Media Studies and Multimedia Production.






## ონლაინ სასწავლო აპლიკაცია "UNI-VOICE"-ის პრეზენტაცია კსუ-ში

11 მარტს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ეკოსისტემა "Voice of Generation"-ის წარმომადგენლებმა, ონლაინ სასწავლო აპლიკაცია "UNI-VOICE"-ის პრეზენტაცია გამართეს.

პრეზენტაციას უძღვებოდნენ: ეკოსისტემა "Voice of Generation"-ის ტექნიკური დირექტორი ირაკლი კერესელიძე; პროექტების მენეჯერი ნინო მიქაძე; მრჩეველთა საბჭოს წევრი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორების კოორდინაციის სამსახურის უფროსი თათია როგავა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ისინი მოიწვიეს კანცლერის მოადგილის, ნინო ჩუბინიძის ინიციატივით, რომელიც ამავდროულად "Voice of Generation"-ის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

ონლაინ სასწავლო აპლიკაცია ემსახურება საქართველოს უმაღლესი განათლების სტიმულირებას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, კომუნიკაციის გამარტივებასა და დროის ოპტიმიზაციას.

სასწავლო პროცესის მართვის ეკოსისტემა "UNI-VOICE" აღჭურვილია შემდეგი ფუნქციებით: შეხსენების სისტემა; ავტომატური დასწრება; განრიგი/ცხრილი; სასწავლო მასალა; ქვიზი & ტესტი; საშინაო დავალება; უკუკავშირი; ავტომატური შესწორება. აპლიკაციით ასევე შესაძლებელია ლექციების როგორც ონლაინტრანსლირება, ასევე ჩანაწერის შენახვა, რომელიც დახურულ "youtube" არხზე განთავსდება.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს მასშტაბით პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც აღნიშნულ სისტემაზე გადადის.

ეკოსისტემა "Voice of Genaration" – შექმნილია კომპანია "Guide-Tool"-ის მიერ.

## PRESENTATION OF ONLINE LEARNING APPLICATION UNI-VOICE AT CIU

The representatives of the ecosystem "Voice of Generation" presented online learning application UNI-VOICE at Caucasus International University on March 11.

The presentation was made by Mr. Irakli Kereselidze, Technical Director of the ecosystem "Voice of Generation"; Ms. Nino Mikadze, Project Manager; Ms. Tatia Rogava, a member of Advisory Board and Head of the Service for Coordination with Donors at the Administration of the Government of Georgia.

They were invited to Caucasus International University by the initiative of Ms. Nino Chubinidze, Vice-Chancellor, who is also a member of the Advisory Board of Voice of Generation.

The online learning application serves to stimulate higher education in Georgia, improve the learning process, simplify communication and optimize time.

The Learning Process Management Ecosystem UNI-VOICE is equipped with the following functions: Reminder System; Automatic attendance; Agenda/Schedule; Course Documents; Quizzes and Tests; Home Tasks; Feedback; Auto-Correction. The app also gives the opportunity to stream lectures online as well as save the recording to a closed "youtube" channel.

It is noteworthy that Caucasus International University is the first private higher education institution in Georgia to introduce this system.



Ecosystem Voice of Generation is created by the company Guide-Tool.

## კსუ-ს მულტიმედია ცენტრის მიერ მომზადებული ფილმების სერია „პირველი არხი – განათლების" ეთერში

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შექმნა ახალი საგანმანათლებლო ტელეარხი – „პირველი არხი - განათლება", რომელიც უკვე ეთერშია.

აღნიშნულ ტელეარხზე განათლების სამინისტროსა და საქართველოს პირველი არხის ერთობლივი პროექტის, „ტელესკოლის", ფარგლებში, 30 მარტიდან მოსწავლეები ტელეგაკვეთილებს იხილავენ. განათლების სამინისტროსთან ერთად მომზადდა გაკვეთილების ცხრილი, რომელიც კლასების მიხედვით მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს.

„პირველი არხი - განათლების" ეთერში შაბათ-კვირას გავა კლასგარეშე საკითხავი გაკვეთილები, საგანმანათლებლო-შემეცნებითი მასალა, რომელიც არამხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ ყველა ასაკის მაყურებლისთვის იქნება განკუთვნილი.

აღსანიშნავია, რომ მათ შორის იქნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის მიერ მომზადებული ფილმების სერია „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად", რომელიც თექვსმეტი სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმისგან შედგება. მასში საქართველოს ისტორიის ეტაპები და საუკუნეების განმავლობაში განვითარებული მოვლენები მსოფლიო ისტორიულ პროცესებთან მიმართებითაა განხილული და გააზრებული.

შემეცნებით-დოკუმენტურ ფილმებს პედაგოგები სასწავლო პროგრამის ნაწილად გამოიყენებენ.




## THE SERIES OF FILMS PRODUCED BY CIU MULTIMEDIA CENTER ON FIRST CHANNEL – EDUCATION

Due to the emergency situation in the country, Georgian Public Broadcaster has created a new educational channel - First Channel - Education, which is already on air.

From March 30, students will be able to watch TV lessons on TV channel, within the framework of the joint project Telescope initiated by the Ministry of Education and the First Channel of Georgia.

A schedule will be developed together with the Ministry of Education, which covers subjects according to grades envisaged by the National Curriculum.

The First Channel - Education will air extracurricular lessons and educational materials at the weekend. They will be not only for children but for viewers of all ages as well.

It should be noted that a series of films - "Qartli's Life with Mariam Lortkipanidze" consisting of sixteen educational-cognitive documentaries and produced by Caucasus International University Multimedia Center will be among the educational materials. The series of films discuss and analyze stages of Georgian history and developments over the centuries in relation to the global historical processes.



# საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა
# INTERNATIONAL COLLABORATION

## ევროპარლამენტარ კაროლ კარსკისა და პოლონეთის ელჩ მარიუშ მაშკიევიჩს კსუ–ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ

21 თებერვალს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში საპატიო დოქტორების დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.

აკადემიური განათლებისა და სამეცნიერო კვლევის, ასევე, უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიიღეს ევროპარლამენტის წევრმა, კვესტორმა, საერთაშორისო სამართლის დოქტორმა, პროფესორმა კაროლ კარსკიმ (პოლონეთი) და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მარიუშ მაშკიევიჩმა.



სტუმრებმა სიტყვით გამოსვლისას საქართველო-პოლონეთის ახლო ურთიერთობებზე გაამახვილეს ყურადღება და ორ ქვეყანას შორის, აკადემიური მიმართულებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ღვაწლი აღნიშნეს.

ღონისძიებაზე სტუმრებს მიესალმნენ: უნივერსიტეტის რექტორი, კახაბერ კორძაია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ მაისაია და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, სესილი გოგიბერიძე.

სტუმრებისთვის შესრულდა მუსიკალური ნაწარმოებები და ქართული მრავალხმიანი სიმღერები, ხოლო ღონისძიებას მოდერატორობა გაუწია კსუ-ს რექტორის თანაშემწემ, ნანა პარინოსმა.

## MEMBER OF THE EU PARLIAMENT, MR. KAROL KARSKI AND THE AMBASSADOR OF THE REPUBLIC OF POLAND TO GEORGIA, MR. MARIUSZ MASKIEWICZ WERE AWARDED THE TITLE OF CIU HONORABLE PROFESSOR

On February 21st, CIU hosted an award ceremony of the honorable professors.



For making special contribution to the academic education and scientific research, also, development of the University, the title of CIU Honorable Professor was awarded to the member of the EU Parliament, Quaestor, Doctor of International Law, Professor Karol Karski (Poland) and the Ambassador of the Republic of Poland to Georgia, Doctor of Political Sciences, Professor Mariusz Maskiewicz.

The guests in their speeches underlined close relations between Georgia and Poland and the merit of CIU in bilateral relations in the academic sphere.

Guests were welcomed by: CIU Rector, Mr. Kakhaber Kordzaia, Doctor of Political Sciences, Professor Vakhtang Maisaia and Head of the Scientific Research Department, Ms. Sesili Gogiberidze.

There was a musical performance, including Georgian polyphonic songs, and the gala was moderated by the Assistant of CIU Rector, Ms. Nana Parinos.

## ონლაინსწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ პოლონეთის დელეგაციასთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა

10 მარტს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორი „ოსტროვიეცის ბიზნესისა და მეწარმეობის უნივერსიტეტის“ (პოლონეთი) წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მხრიდან ესწრებოდნენ: კანცლერის მოადგილე ნინო ჩუბინიძე, ასევე, კსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ლექტორები, „ოსტროვიეცის ბიზნესისა და მეწარმეობის უნივერსიტეტის“ (პოლონეთი) მხრიდან კი – დელეგაციის ხელმძღვანელი, ვიცერექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სტეფან სუშკა, ასოცირებული პროფესორები – მონსინიორ იოსეფ გროჩალა და მარიან ქიჩონი.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ონლაინსწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე სასწავლო პროცესში და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე. ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და შესთავაზეს გარკვეული რეკომენდაციები. მხარეებმა, ასევე, ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

ალსანიშნავია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბოლო 2 წელია ინტენსიურად მუშაობს ონლაინ ელექტრონული სწავლების მექანიზმების დანერგვაზე და უკვე შემუშავებული აქვს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის მოდელი.



## A MEETING WITH THE POLISH DELEGATION REGARDING MODERN METHODS OF THE ONLINE EDUCATION

A business meeting with representatives of CIU partner the University of Business and Entrepreneurship of Ostroviet (Poland) was held on March 10.

The following representatives from CIU attended the meeting: Deputy of the Chancellor, Ms. Nino Chubinidze, administration and lectors of CIU Social Sciences Faculty, from the University of Business and Entrepreneurship of Ostroviet (Poland) – head of the delegation, Vice-Rector, Head of the Quality Control Unit, Mr. Stefan Sushka, associated professors – monsignor Joseph Grochala and Marian Kichon.



At the meeting parties discussed implementation of modern methods of the online education in the teaching process and mechanisms of quality assurance in the online studying. Partners shared their experience and proposed specific recommendations. Perspectives for future collaboration were also reviewed at the meeting.

It's worth noticing, that for the last two years CIU is focused to launch the online studying mechanisms and the model for distance learning has been already developed.

## პოლონელი პროფესორების საჯარო ლექცია კსუ–ში

11 მარტს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამაზე, „Erasmus +”-ით სამუშაო ვიზიტის ფარგლებში „ოსტროვიეცის ბიზნესისა და მეწარმეობის უნივერსიტეტის“ (პოლონეთი) ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის ვიცერექტორმა და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, სტეფან სუშკამ და ასოცირებულმა პროფესორმა, მარიან ქიჩონიმ ჩაატარეს საჯარო ლექცია თემაზე – „პოლონეთის კრიზისების მართვის სისტემა“.

მომხსენებლებმა საჯარო ლექციაზე პოლონეთის კრიზისების მართვის სისტემის მოქმედების ძირითადი პრინციპები მიმოიხილეს, ყურადღება გაამახვილეს პოლონეთში კრიზისების მართვის სფეროში ერთიანი ნორმატიული კანონმდებლობის შექმნაზე, ასევე, ხაზი გაუსვეს საქართველოში კრიზისების მართვის სისტემის ჩამოყალიბებასა და პოლონეთის მონაწილეობას ამ სისტემის დანერგვაში.

შეხვედრის დასკვნითი ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა. კსუ-ს პროფესორებმა და სტუდენტებმა პოლონეთის კრიზისების მენეჯმენტისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების საკითხებზე მომხსენებლებისგან დამატებითი ინფორმაცია მიიღეს.

## A PUBLIC LECTURE DELIVERED BY POLISH PROFESSORS AT CIU

The Vice-Rector of the National Security Department of the University of Business and Entrepreneurship of Ostroviet (Poland) and Head of the Quality Control Unit, Mr. Stefan Sushka and Associated Professor Marian Kichon delivered a public lecture "Crisis Management System of Poland" at CIU on March 11 for postgradute program students of International Relations and International Security Faculty within the „Erasmus +" program.



Speakers highlighted the core principles of the Polish crisis management system functioning, detailed the drafting of the common normative legislation of the crisis management in Poland, besides, underlined the importance of such system introduction in Georgia and involvement of Poland in the implementation of the one.

The meeting was wrapped up in the questions-answers format. CIU professors and students got additional information from the speakers on crisis management in Poland and safety of critical infrastructure.

# ვიზიტი VISIT




## კსუ-ს წარმომადგენლები მადრიდის რადიკალური ღვინის მეექვსე ფესტივალზე

2020 წლის 10 თებერვალს ავთენტური ღვინის მოყვარულებმა ესპანეთის დედაქალაქში რადიკალური ღვინის გამოფენა კიდევ ერთხელ მოაწყვეს.

ტრადიციულ ღონისძიებაში ამჯერად 35 მარანმა და კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. საქართველო კი სტუმარი ქვეყნის სტატუსით ფესტივალზე წელს პირველად წარდგა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი რადიკალური ღვინის მე-6 ფესტივალში სტუმარი ქვეყნის სტატუსით მიიწვიეს.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარანმა „კოლხმა“ და „იწის“ მარანმა პროფესიონალი სომელიეების, მედიასაშუალებებისა და დეგუსტატორების წინაშე წარმოაჩინეს ქვეყანა, რომელიც ღვინისა და მევენახეობის აკვნად და ვაზის კულტურის უძველეს კერადაა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა ღვინოებმა – „რქაწითელი“, „კახური მწვანე“, „საფერავი“ – დეგუსტატორთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

რადიკალური ღვინის მე-6 ფესტივალზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ: მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დეკანი, ოლან გოცირიძე, უნივერსიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი ესპანეთში, ქეთევან გორგილაძე, კანცლერის მრჩეველი, ენდრიუ გრეემი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, თამარ ლალიძე.

ესპანური საინფორმაციო გამოცემა – "Gastroactitud"-მა გამოფენის შემდეგ დაწერა – „არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ ღვინის კულტურა სათავეს იღებს საქართველოში. ქართული ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგია 8000 წელს ითვლის.

ქვევრის ღვინის წარმოების უძველეს ტექნოლოგიას დღესაც აქტიურად იყენებენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ახალმა თაობებმა, როგორც ესპანეთში, ასევე მთელ მსოფლიოში დაიწყეს ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიების გამოყენება, თუმცა საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს სტატუსის მქონე ქვეყანას, გლობალური კონკურენციის პირობებში, მეტი პოპულარიზაცია სჭირდება".

ღონისძიების ფარგლებში ქართული ღვინის დეგუსტაციის პროცესს, ქართული მარნების წარმომადგენლებთან ერთად გაუძღვნენ მაგისტრი სანტი რივასი და ცნობილი ჟურნალისტი გასტრონომიისა და ღვინის დარგში, ფედერიკო ოლდენბურგი. მათ მიწვეულ მედიასაშუალებებსა და კომპანიებს ქართული ღვინის სახეობები გააცნეს.

ღონისძიების ბოლოს, ჟიურის მიერ ტრადიციულად გამოვლინდა „რადიკალური პრემიის“ მფლობელი მარანი, რომელიც განსაკუთრებულად იცავს საკუთარი ვენახის თვითმყოფადობას, მრავალფეროვნებასა და ავთენტურობას – „რადიკალური ღვინის“ კონცეფციის მთავარ პრინციპებს.

**თამარ ლალიძე**

(კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე):

– რადიკალური ღვინის რიგით მეექვსე ფესტივალზე მოწვეული ქვეყნის სტატუსით წარმოვადგენდით არა მარტო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს, არამედ მთლიანად საქართველოს, როგორც მეღვინეობა-მევენახეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქვეყანას.

ფესტივალზე გამოფენილი იყო 49 მარანი 3 სხვადასხვა სახეობის ღვინით. ჩვენი სტუდენტების მიერ დამზადებულ ღვინოთაგან ორი – რქაწითელი და საფერავი – 10 საუკეთესოს შორის მოხვდა.

ფესტივალი ძალიან წარმატებული გამოდგა. გამოიკვეთა როგორც ბიზნესშემოთავაზებების, ასევე ღვინის დამზადების ქართულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის შესაძლებლობა.

ფესტივალში მონაწილეობა ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტის პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო. რაც მთავარია, ჩვენს სტუდენტებს სტიმული მიეცათ. დარწმუნდნენ, რომ განვითარების სწორ გზაზე დგანან, რადგან მათ მიერ შექმნილმა ღვინომ ასეთ წარმატებას მიაღწია.

მადრიდის რადიკალური ღვინის მეექვსე ფესტივალში კსუ-ს მონაწილეობისა და ღონისძიების მნიშვნელობის შესახებ მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დეკანს, ოლან გოცირიძეს ვესაუბრეთ.

– **როგორ მოხვდა კსუ მადრიდში ღვინის მე-6 ფესტივალზე?**

– მადრიდში რადიკალური ღვინოების მე-6 ფესტივალზე მონაწილეობას თავისი პრეისტორია აქვს. ალბათ მოგეხსენებათ, რომ უკვე თითქმის ორი წელიწადია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თანამშრომლობს ესპანეთის წამყვან უნივერსიტეტებთან. ესენია: ალკალას, ბურგოსისა და ლა რიოჰას უნივერსიტეტები. ორმხრივ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებს სხვადასხვა სახის პარტნიორობას და ეს ურთიერთობა ყოველდღიურად ღრმავდება. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული ესპანური ცენტრი „Iberia" და მისი დამფუძნებელი, ქალბატონი ქეთი გორგილაძე, ასევე - კავკასიის სავაჭრო სახლი.

ეს ფესტივალი ძალიან პოპულარული და მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ღვინის ესპანური ბაზრისთვის. მცირე და საშუალო მარნების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება, კვალიფიციურ პროფესიონალთა სამსჯავროზე გაიტანონ თავიანთი პროდუქცია. განსაკუთრებით კი - ღვინოები, რომლებიც არის ავთენტური, ორიგინალური და არასტანდარტული. აქ მიღებული მაღალი შეფასება კი არის გარანტი იმისა, რომ ეს ღვინოები გახდება ცნობადი და გაყიდვადი. ამ ფესტივალის ორგანიზატორი და წამყვანი გახლავთ ფედერიკო ოლდენბურგი, ავტორიტეტული მეღვინე, ჟურნალისტი და ცნობილი ღვინის მწერალი, რომლის ვერდიქტიც ამა თუ იმ ღვინის ხარისხზე არის ძალზე მნიშვნელოვანი.

როგორც წესი, ფესტივალს ყოველ წელს ჰყავს მოწვეული სტუმარი მევენახეობა-მეღვინეობის წამყვანი ქვეყნებიდან. გასულ წლებში ფესტივალს სტუმრობდნენ მეღვინეები საფრანგეთიდან, იტალიიდან და არგენტინიდან. ამჯერად საპატიო მოწვეული სტუმრის სტატუსი მიიღო საქართველომ, რომლის წარდგენის პატივი გვერგო ჩვენ – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტსა და მარანს „კოლხი“. მონაწილეთა შორის გახლდათ კიდევ ერთი მარანი რაჭიდან – „იწი“.

საქართველოს მიწვევა განაპირობა იმ გარემოებებმა, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაზრდილია ინტერესი საქართველოს, როგორც ვაზისა და ღვინის სამშობლოს მიმართ. ღვინის სამყაროს წარმომადგენლებს სურთ, მეტი გაიგონ ამ ქვეყნის კულტურის, ქვევრის, ღვინის დაყენების ადგილობრივი ტრადიციული ტექნოლოგიების შესახებ. ასეთი ტიპის ღვინოებს ისინი მოიხსენიებენ, როგორც "orange" - ღვინოებს.

– **რითი იყო მნიშვნელოვანი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ამ კონკრეტულ ღონისძიებაში მონაწილეობა? როგორ შეაფასებთ ვიზიტს?**

– ამ ფესტივალში მონაწილეობა იყო დიდი გამოწვევა ჩვენთვის. ეს ერთდროულად ძალიან სასიამოვნო გამოცდილება, საპატიო მისია და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება გახლდათ. ჩვენ წარვადგინეთ მარან „კოლხში“ მაგისტრანტთა მიერ დამზადებული ღვინოები ოკამისა და კახეთის რეგიონების ვენახებიდან. საერთოდ, ვფიქრობ, ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ საქართველოდან მაღალი დონის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტმა და სტუდენტურმა ღვინოებმა.

ფესტივალის ოფიციალურ გახსნამდე პროფესიონალ დეგუსტატორთა ჯგუფმა დააგემოვნა ღვინოები და ჩვენი სამი ნიმუშიდან ორი - ქვევრში დაყენებული რქაწითელი და ხაშმის საფერავი შეარჩია საპრეზენტაციოდ. ფესტივალი მიმდინარეობდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე საზეიმოდ გაიხსნა ღონისძიება და საუკეთესო ღვინოები წარუდგინეს პროფესიონალებსა და პრესის წარმომადგენლებს. სწორედ ჩვენი თეთრი ღვინის წარდგენით დაიწყო ეს ფესტივალი და წითელი ღვინის წარდგენით - დაიხურა.

ფედერიკო ოლდენბურგმა ისაუბრა საქართველოს მეღვინეობის ტრადიციებზე, თავისებურებებზე. მე კი მომეცა საშუალება, მიმეწოდებინა ინფორმაცია უნივერსიტეტზე, ფაკულტეტზე, მარანზე, კონკრეტულად დამეხასიათებინა ჩვენი ღვინოები და მეპასუხა მათ შეკითხვებზე.

მეორე ეტაპზე, ტრადიციისამებრ, ფესტივალი ყველა დაინტერესებული პირისთვის იხსნება. აქ მოდიან სომელიეები, მარკეტოლოგები, ჟურნალისტები, უბრალოდ მოყვარულები. ძალიან ამაღელვებელი იყო ის დიდი დაინტერესება, რასაც ისინი იჩენდნენ ჩვენი ღვინოების მიმართ და კომპლიმენტები, რომლებსაც არ იშურებდნენ.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ ქართული ღვინის პოპულარიზაციის საქმეში და შევასრულეთ მისია, რომელიც ფაკულტეტის დაარსებისთანავე დავისახეთ. ამას ადასტურებს ახლახან მიღებული მასალა, სადაც ჩანს, როგორი დიდი ადგილი ეთმობა ესპანურ პრესაში ამ ფესტივალის შედეგების განხილვასა და ჩვენს ვიზიტს.

არ შემიძლია, დიდი მადლობა არ გადავუხადო უნივერსიტეტის კანცლერს, ქართული ვაზისა და ღვინის დიდ მოამაგეს, ბატონ ვახტანგ წივწივაძეს, რომ მოგვცა ასეთი შანსის გამოყენების შესაძლებლობა და ასევე ქალბატონ ქეთი გორგილაძეს, რომლის ინიციატივითა და დიდი ძალისხმევით განხორციელდა ეს პროექტი. კიდევ დიდი მადლობა მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ახალგაზრდულ გუნდს. ისინი დღეს დამსახურებულად ამაყობენ ამ წარმატებით.

– **რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობა საინტერესო ფაზაში შევიდა. კონკრეტულად, რას მოიაზრებს ეს პარტნიორობა?**

– დიახ, ნამდვილად ასეა. ვიზიტებმა ბურგოსისა და ლა რიოჰას უნივერსიტეტებში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ მათი მხრიდან არის დიდი მზაობა, განავითარონ ეს ურთიერთობები სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი მიმართულებით. როგორც თქვენთვის ცნობილია, ერთმა მაგისტრანტმა უკვე გაიარა პრაქტიკა ბიოღვინის მწარმოებელ ესპანურ მარნებში. ბურგოსის უნივერსიტეტმა, თავისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, აღიარა კრედიტები ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამიდან და შეთანხმების საფუძველზე ჩვენს კურსდამთავრებულს შეუძლია ერთ სემესტრში გაიაროს განსხვავებული საგნები და მიიღოს ესპანური დიპლომიც. თან ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორივე უნივერსიტეტი ექსკლუზიურად ჩვენთვის აწესებს კრედიტული გადახდის უპრეცედენტოდ დაბალ ნიშნულს, თანაზომიერს - ესპანელი სტუდენტებისთვის, რაც დაახლოებით სამჯერ

ნაკლებია, ვიდრე ეს დაწესებულია სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის.

გაფორმების სტადიაშია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან „IMIDRA". სტუდენტებს, ახალგაზრდა მკვლევრებს, აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ გამგზავრება როგორც უნივერსიტეტებში, ისე ამ ცენტრში. ჩვენ უკვე მოვხაზეთ სამეცნიერო მიმართულებები, რომელიც ორივე მხარისთვის იქნება საინტერესო და აქტუალური.

ძალიან დიდი რესურსი აქვს ლა რიოჰას უნივერსიტეტს, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით სამივე საფეხურის პროგრამები მუშაობს. საერთოდ ეს რეგიონი ძალიან მნიშვნელოვანია ესპანეთისთვის, დაახლოებით ისევე, როგორც კახეთია ჩვენთვის. გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ შემოთავაზება მივიღეთ ლა რიოჰას მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობიდან, რომ გავხდეთ პარტნიორები არაერთ ინსტიტუციურ საგრანტო პროექტში.

ასე რომ, მგონი ურიგო ვიზიტი არ გამოვიდა და უკან ახალი პროექტებით, იდეებით და გეგმებით დავბრუნდით.

— **რა გეგმები აქვს სამომავლოდ კსუ-ს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტს?**

— მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტს სამომავლოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა აქვს, რაც გულისხმობს პროგრამების განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი, ინოვაციური პროექტების განხორციელებასა და სხვა. უახლოეს მომავალში კი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია გველის. მისი წარმატებით გადალახვის შემდეგ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში პირველებს მოგვეცემა უფლება, გამოვუშვათ კურსდამთავრებულები მევენახეობა-მეღვინეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

გპირდებით, რომ მომავალში ამ სიტყვას (პირველი) კიდევ ბევრჯერ ვახსენებთ პოზიტიური კონტექსტით.

**ცირცინო ბუკია**



# CIU REPRESENTATIVES AT THE SIXTH RADICAL WINE FESTIVAL IN MADRID

Connoisseurs of the authentic wine once again organized the Radical Wine Exhibition in the Capital of Spain on February 10 of 2020.

35 cellars and companies took part in the traditional event this time. Georgia in the status of a guest country was represented at the Festival for the first time. Caucasus International University was invited to the Sixth Radical Wine Festival in the guest status.

CIU cellar "Kolkhi" and cellar "Itsi" represented our country in front of the professional sommeliers, representatives of media and degustators, which is recognized as a cradle of wine and viticulture and motherland of the centuries long vine culture.

It's noteworthy that wines "Rkatsiteli", "Kakhetian Green" and "Saperavi" presented at the Festival have got particular appraisal from the degustators.

Among the CIU representatives visiting the Sixth Radical Wine Festival were the Dean of Viticulture-Winemaking Faculty, Mrs. Olan Gotsiridze, CIU official representative in Spain, Ms. Ketevan Gorgiladze, Adviser to the Chancellor, Mr. Andrew Graam and Deputy Head of the International Relations Department, Ms. Tamar Laghidze.

Spanish information publication "Gastroactitud" wrote after the Exhibition: "The archeological discoveries prove that wine culture takes its roots in Georgia. The technology of wine production in pitchers (qvevri) in Georgia counts 8000 years.

Production of wines in pitchers is the ancient technology employed in Georgia widely hitherto and beyond the country as well. New generations both in Spain and in many other countries have already embarked upon using pitcher wine making technologies, however, Georgia bearing the status of wine motherland still needs more popularization in the highly competitive environment existing on the market". The process of Georgian wine degustation at the Festival together with the representatives of Georgian cellars were leaded by the magistrate Mr. Santi Rivas and the renowned journalist in the field of gastronomy and wine, Mr. Federico Oldenbourg. They presented various brands of Georgian wine to the invited media and companies. Close to the end, the Jury traditionally awarded the "Radical Prize" to a cellar exceptionally preserving its vineyard originality, variety and authenticity – the major principles of the "Radical Wine" conception.

**Ms. Tamar Laghidze** (Deputy Head of the Caucasus International University International Relations Department):

_ At the Sixth Festival of Radical Wine as a guest country we represented not only the CIU, but country on the whole, as the one with ancient wine-making and viticulture history.

49 cellars with three varieties of wine were represented at the Festival. Two brands of wines "Rkatsiteli" and "Saperavi" made by our students were named among the 10th best. The Festival was a success. There was opened an opportunity for scientific-research partnership in regard with the Georgian wine-making technologies and also, business propositions. The Festival proved to be a success also in terms of bolstering the popularization of our country and Caucasus International University. And what is more important, it gave strong incentive to our students. They became confident in their choice as long as the wines produced by them got so high accolades.

We talked to Mrs. Olan Gotsiridze, Dean of CIU Viticulture-Winemaking Faculty, about the importance of the Madrid Sixth Radical Wine Festival and participation of CIU in the event.

**_ How CIU was invited to the Madrid Sixth Radical Wine Festival?**

_ Our participation in the Sixth Radical Wine Festival in Madrid has its prehistory. As you might know, for almost two years already, CIU cooperates with the leading Spanish universities: Alkala, Burgos and La Rioja. The formed memorandum of collaboration envisages various types of collaboration and this partnership expands from day to day. Spanish Center "Iberia" and its founder, Ms. Keti Gorgiladze and Caucasus Trade House are actively involved in this process. This Festival is very popular and has a complex importance for the Spanish wine market. Small and medium size cellars are given an opportunity to represent their production to the professionals of the field to get their evaluation. Especially, wines – authentic, original and non-standard. And evaluations one receives here are sort of a guarantee that these wines will become known and sellable. The organizer and leader of this Festival is Mr. Federico Oldenbourg, the top ranked winemaker, journalist and well-known thematic writer whose verdict on the quality of this or that wine is of critical importance.

As a rule, every year the Festival organizers invite a guest from the leading winemaking and viticulture countries. In the previous years, such guests were those from France, Italy and Argentine. This year Georgia was honored to be invited in a guest status and we, CIU Winemaking-Viticulture Faculty and cellar "Kolkhi", were entrusted to represent our country at the Festival. Besides us, one more Georgian cellar "Itsi" participated in the Festival too.

Invitation for Georgia was a result of the raised interest towards our country as a motherland of vine and wine. Representatives of the world of wine aspire to get more information about our country's culture, pitcher and other wine making local traditional technologies. They call such type - the "orange" wines.

**_ In particular, what importance has had the participation in this event for CIU? How would you assess the visit?**

_ In fact, it was a great challenge for us. It was a very thrilling experience, honorable mission and responsible decision at the same time. We presented wines from Okami and Kakheti regions vineyards produced by our postgraduate program students in cellar "Kolkhi". Generally said, I guess this was for the first time when Georgian university and student-made wines participated in the renowned international festival.

Before the official opening of the Festival, all wines had been tasted by the group of professional degustators and out of our three samples, pitcher-made Rkatsiteli and Khashmi Saperavi, were opted out for the presentation. The Festival had two phases. The first was a formal opening and the best wines were presented to professionals and journalists. I'd like to underline that the Festival started with the presentation of our white wine and closed up - with our red wine.

Mr. Federico Oldenbourg delivered a speech about the traditions and specificities of Georgian wine production. As to me, I was given a chance to provide information on CIU, our faculty, cellar, our wines and answer their questions.

Traditionally, the second phase is open for all parties concerned. Frequently those are sommeliers, marketing specialists, journalists and mere interested persons. It was very exciting to see the interest they expressed towards our wines and got words of compliments they did not hold back to tell us.

I won`t exaggerate if say, that we've made our humble contribution into the popularization of the Georgian wine and completed the mission, we'd aimed at since the very day when the faculty was established. This is backed up by the materials we've received lately on how interestedly Spanish media elucidated the results of this event and our visit. I want to express deepest gratitude to CIU Chancellor, great caretaker of Georgian vine and wine, Mr. Vakhtang Tsivtsivadze for giving us this wonderful opportunity and also, Ms. Keti Gorgiladze who is an initiator of this project and who made the most valuable contribution into the fulfillment of this initiative. Likewise, I want to specially thank a group of our students from

**_ For all I know, the relations with partner universities have flowered into the more advanced phase. Can you tell us what, in particular, does this partnership envisage?**

_ Yes, you are quite right. Our visits to the Universities of Burgos and La Rioja assured us once again that they are keen to develop mutual relations in teaching, practical and research fields. As you know, one of the CIU MA student has already completed the internship at the Spanish cellars producing bio-wine. The University of Burgos, within the framework of its postgraduate program, recognizes credits of Georgian Viticulture-Winemaking Faculty Postgraduate Program; and based on our agreement, CIU graduates can study different disciplines during one semester and acquire a diploma of the Spanish university as well. And one more important aspect is that both Universities offer the unprecedentedly lowest academic credit payment benchmark tantamount to the one Spanish students enjoy, that is about three times less than it is assigned for citizens from other countries. Under the discussion is signing a MoC with the scientific-research center "IMIDRA". Students, young researchers, academic personnel can visit both the universities and the center. We've already outlined those scientific directions which are of interest and actuality for both parties.

The University of La Rioja has immense resources, it offers three-level programs in viticulture and winemaking. In fact, this is the major region in Spain for this industry, similarly to Kakheti in Georgia. I'll tell you a couple of words about the prospect; we've got a proposition from the administration of University of La Rioja to become partners in various institutional grant projects.

So, hope that the visit proved to be fruitful and we returned home with new project proposals, ideas and plans.

**_ What are the plans of CIU Viticulture-Winemaking Faculty?**

_ The Faculty has an explicit and well-developed plan what purports evolvement of curricula, extension of scientific-research initiatives, improvement of teaching quality, implementation of the new innovative projects, etc. In the nearest future we anticipate the accreditation of the postgraduate program. Following this, we'll be the first in the Georgian educational space accredited to award academic degree in viticulture and winemaking for our graduates.

I promise to note the word "first" in positive context not once in the future as well.

**Cicino Bukia**

# მეცნიერება SCIENCE

## კსუ–ს სამეცნიერო პრემია „თამარის" რიგით მეორე დაჯილდოების ცერემონია

28 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია „თამარის" რიგით მეორე დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ხსენებული სამეცნიერო პრემია 2017 წელს დაფუძნდა და გათვალისწინებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოღვაწე წარმატებული მეცნიერებისთვის, რომლებიც გამორჩეულნი არიან აქტიურობით, სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო პროექტებითა და გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

ღონისძიებაზე გამოვლინდნენ I, II და III პრემიის ლაურეატები, რომელთაც შესაბამისად 3000, 2000 და 1000 ლარი და კომპანია „ზარაფხანას" მიერ დამზადებული სპეციალური მედლები გადაეცათ.

I პრემია მიენიჭა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, მედიცინის აკადემიურ დოქტორ სოფიო კასრაძეს;

II პრემია – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ზაქარია ნანობაშვილს;

III პრემია ნომინაციაში „ახალგაზრდა მეცნიერი" გადაეცა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორს, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორ ირმა ბარათაშვილს.

პრემიის ლაურეატები 32 პრეტენდენტიდან შეირჩნენ, რომლებიც 2018-2019 წლებში აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ცერემონიაზე შეკრებილი საზოგადოების წინაშე სიტყვით წარდგნენ: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, კახაბერ კორძაია; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ნუნუ მიცკევიჩი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი კეკელიძე; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, ზვიად გაბისონია; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, გენადი მარგველაშვილი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, სესილი გოგიბერიძე; ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, ირაკლი ღარიბაშვილი.

გამომსვლელებმა აღნიშნეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აქტიური პოლიტიკა სამეცნიერო კვლევების მიმართულებით და ამ კონტექსტში ხაზი გაუსვეს პრემია „თამარის" მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ ის უნივერსიტეტში მოღვაწე სხვადასხვა სფეროს მეცნიერებისთვის/აკადემიური პერსონალისთვის დიდი სტიმულია.

სამეცნიერო პრემიას სახელწოდება კავკასიაში პროგრესული და ჰუმანიტარული პოლიტიკის გამტარებლის, ინტელექტუალთა და ხელოვანთა მფარველის, საქართველოს მეფის, თამარის პატივსაცემად მიენიჭა.

ღონისძიებას მუსიკალურად GiGi PianoMan აფორმებდა.




## THE SECOND AWARD CEREMONY OF CIU SCIENTIFIC PRIZE "TAMAR"

The second award ceremony of CIU Scientific Prize "Tamar" was held at the National Parliamentary Library of Georgia on February 28.

The given scientific prize was established in 2017 and is awarded to those successful scientists collaborating with Caucasus International University who are distinguished with active involvement, scientific works, international projects and publications.

I, II and III prize nominees were revealed who were awarded 3000, 2000 and 1000 GEL monetary prizes and medals, specially made by "Zarapxana" Jewelry Company.

**I prize** was awarded to CIU Associated Professor, Academic Doctor of Medicine **Ms. Sophio Kasradze**;

**II prize** – to CIU Professor, Doctor of Biological Sciences **Mr. Zakaria Nanobashvili;**

**III prize** was awarded in the "Young Scientist" nomination to the Dean of CIU Business Faculty, Associated Professor, Doctor of Business Administration **Ms. Irma Baratashvili**.

Prize laureates were selected out of 32 nominees who actively participated in scientific activities in 2018-2019. Among the speakers of the ceremony were: CIU Rector, Mr. Kakhaber Kordzaia, Deputy Minister of Education, Science, Culture and Sports Ms. Nunu Mitskevich, Director of the National Parliamentary Library of Georgia, Mr. Giorgi Kekelidze, General Director of Shota Rustaveli National Scientific Fund, Mr. Zviad Gabisonia, Chairperson of the Parliamentary Committee for Education, Science and Culture, Mr. Genadi Margvelashvili, CIU Head of Scientific Research Department, Ms. Sesili Gogiberidze, Director of the National Scientific Library, Mr. Irakli Gharibashvili.

The speakers underlined a dynamic policy CIU pursues in the scientific field and the significance of "Tamar" Prize in this context. Besides, it was stressed that the prize is a strong incentive for scientists and academic staff associated with CIU.

The scientific prize is a tribute to the conductor of progressive and humanitarian policy in Georgia, supporter of intellectuals and artists, the Queen of Georgia, Tamar.

GiGi Piano Man performed at the event.







# კრებულის პროექტის – „პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი“ + პრეზენტაცია

2021 წლის 21 თებერვალს აღინიშნება მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღების 100 წლის იუბილე.

ამ თარიღთან დაკავშირებით 2020 წლის 21 თებერვალს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კრებულის პროექტის „პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი“ პრეზენტაცია, რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

პროექტის მიზანია ქართული კონსტიტუციონალიზმის დამოუკიდებელი სკოლის ჩამოყალიბებისა და პირველი ქართული კონსტიტუციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ამ მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კრებულის მომზადებასა და მის გამოცემას. კრებულში სამეცნიერო სტატიები სარედაქციო კოლეგიის მოწვევით დაიბეჭდება. აქ წარმოდგენილი იქნება სამართლის, ისტორიის, პოლიტიკისა და ენათმეცნიერების დარგის აღიარებული უცხოელი და ქართველი მეცნიერების შრომები პირველი ქართული კონსტიტუციის, კონსტიტუციონალიზმისა და პოლიტიკის მეცნიერების აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე. პროექტში 25 მეცნიერი მონაწილეობს.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ ყოველი დემოკრატიული ქვეყნის ისტორიაში კონსტიტუციის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე ქართული სახელმწიფო პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა. ეს აღიარებულია საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში. სწორედ დღევანდელი კონსტიტუცია განაპირობებს უწყვეტ მემკვიდრეობით კავშირს პირველ რესპუბლიკასა და თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს შორის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვირგვინი, ქართული კონსტიტუციონალიზმის თავფურცელი – 1921 წლის კონსტიტუციაა.

პირველი ქართული კონსტიტუციის ბევრი ნორმა თუ პრინციპი სიცოცხლისუნარიანობას საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაშიც ინარჩუნებს. 1921 წლის კონსტიტუცია ქართული კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ყველა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს 1921 წლის კონსტიტუციის „სული“ წითელ ზოლად გასდევს. პირველი კონსტიტუცია მუდმივად იყო აქტუალური 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ ამ გამოცემით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, პირველი ქართული კონსტიტუციის პოპულარიზაციას, მის ირგვლივ დისკუსიის გაღვივებას, ქართული კონსტიტუციონალიზმისთვის არსებითი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და, მეორე მხრივ, იმ ღვაწლმოსილ ადამიანთა ამაგის დაფასებას, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ კონსტიტუციონალიზმს.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი მინდია უგრეხელიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი ვლადიმერ მაჭარაშვილი, სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე თამთა წირქვაძე, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნინო მინდიაშვილი. პირველი კონსტიტუციის მნიშვნელობაზე ისაუბრეს კონსტიტუციონალისტებმა: გია გოგიბერიძემ და ზურაბ ჯიბღაშვილმა. საიუბილეო სამეცნიერო კრებულის პროექტზე მსმენელებს ინფორმაცია მიაწოდა ბექა ქანთარიამ.

პროექტის იდეის ავტორები არიან: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მინდია უგრეხელიძე და ასოცირებული პროფესორი ბექა ქანთარია.

სამეცნიერო კრებულის პრეზენტაცია შედგება 2021 წლის 21 თებერვალს – პირველი კონსტიტუციის მიღების დღეს – 100 წლის იუბილეზე.




# სერგეი მესხის სახელობის პრემია – მონოგრაფია „ჟურნალისტიკის“ ავტორთა ჯგუფის მორიგი წარმატება

2020 წლის 21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღეს, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა მონოგრაფია „ჟურნალისტიკის“ ავტორთა ჯგუფი, ქართული ჟურნალიზმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, სერგეი მესხის სახელობის პრემიით დააჯილდოვა.



ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთა სწავლებისათვის განკუთვნილ მასალებში არსებული სიცარიელის შემვსებად და სხვადასხვა კურსისთვის შეუცვლელ რესურსად იქცა.

მონოგრაფია პირველად 2015 წელს მეორედ კი, მასზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, – 2017-ში, შევსებული სახით, ხელმეორედ გამოიცა.

„ჟურნალისტიკას“ ცამეტი ავტორი ჰყავს. მათი უმრავლესობა ქართული მედიასკოლების ხელმძღვანელები არიან. ცალკე აღნიშვნის ღირსია საფრანგეთიდან კოლეგების ჩართულობა, იდეის ავტორობიდან რეცენზირების ჩათვლით. მონოგრაფიის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები: მარინე ვეკუა და ჟილ რუე (იდეის ავტორები და მონოგრაფიის თანაავტორები), დალი ჩიკვილაძე, ელზა ლომიძე, მარინა ლომიძე, ნატო ონიანი, ხათუნა კაჭარავა, მაკა დარსაველიძე, თათია მჟავანაძე, მაგდა მემანიშვილი, ნინო



ჭალაგანიძე, ლალი ძამუკაშვილი, ლაურა კუტუბიძე.

მომავალი ჟურნალისტების განათლება და მათი მაღალი ხარისხის სამეცნიერო ლიტერატურით მომარაგება უთუოდ საშური საქმეა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართული რეალობისთვის შესატყვისი ახალი სახელმძღვანელოები, ფაქტობრივად, არ არსებობდა, სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების ძალისხმევა ნამდვილად საჭირო და დასაფასებელია.

მონოგრაფიამ მკითხველთა შორის ინტერესი იმთავითვე გამოიწვია და, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ის საქართველოში არსებული თითქმის ყველა ჟურნალისტური სასწავლო პროგრამის განუყოფელი ნაწილი გახდა.

სერგეი მესხის სახელობის პრემია მონოგრაფიის ავტორთათვის უდავოდ დიდი აღიარება და ჯილდოა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის კი ორმაგად

სასიხარულო და საამაყო, რადგან ავტორთა შორის კსუ-ს თანამშრომლები არიან: მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, ნინო ჭალაგანიძე და სადოქტორო პროგრამის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ხათუნა კაჭარავა.

**ნინო ჭალაგანიძე, ჟურნალისტიკის დოქტორი, პროფესორი, კსუ-ს მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი.**

— სერგეი მესხის სახელობის პრემია განსაკუთრებული ჯილდო და პატივია. უკვე ზედიზედ მეორე წელიწადია, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, თბილისში, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში, დამსახურებული ჟურნალისტები სხვადასხვა ნომინაციებში ჯილდოვდებიან. მათ წელსაც ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიები გადაეცათ.

სიმბოლურია, რომ ეს ჯილდო მოგვენიჭა იმ პერიოდში, როცა ჩვენი პროფესია კიდევ უფრო საჭირო და არსებითი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის - მოგეხსენებათ, საგანგებო სიტუაციის დროს ჟურნალისტის გამართულ მუშაობაზე ბევრია დამოკიდებული.

ჟურნალისტების ახალი, კიდევ უფრო ძლიერი და ინტელექტუალური თაობების აღზრდას ემსახურება მონოგრაფია „ჟურნალისტიკაც“, რომელიც როგორც სახელმძღვანელო, საქართველოში არსებული თითქმის ყველა ჟურნალისტური სასწავლო პროგრამის განუყოფელი ნაწილი გახდა.

გულითადად ვულოცავ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის მიერ დაჯილდოებულ ყველა კოლეგას! პატივისცემას ვუდასტურებ და ვემადლიერები ჟურნალისტთა სასახელო თაობებს გაწეული შრომისათვის, იდეის ერთგულებისთვის; ახალ თაობებს კი ენერგიას, ერთგულებასა და სიმართლის მსახურებას ვუსურვებ.




## პრეზენტაცია



## „თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურის ძეგლები“

წიგნი „თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურის ძეგლები“ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ქალბატონი ქეთევან შოშიაშვილის ნაშრომია და მრავალწლიანი კვლევისა და კსუ-ს ექსპედიციებისას მოძიებული მასალის საფუძველზე შეიქმნა.

ორნაწილიან სამეცნიერო ნაშრომში შესული თითოეული ძეგლი საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთს უკავშირდება და ეპოქის უკეთ გააზრების საშუალებას გვაძლევს.

ნაშრომის მნიშვნელობასა და კონტენტზე დაწვრილებით ავტორი გვესაუბრება.

**ქეთევან შოშიაშვილი:**

— კულტურა ფართო ცნებაა და იგი საზოგადოების სულიერი განვითარების მდგომარეობას განსაზღვრავს, განაპირობებს საერთო ენისა და იდეის მატარებელ საზოგადოებრივ ერთობას, როგორც ერის ერთიანი კულტურული ფენომენის არსებობას.

მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კულტურა არ არსებობს დამოუკიდებლად, განყენებულად. კულტურულ ერებს შორის ურთიერთგავლენა მარადიულია. საქართველო მსოფლიოს უძველესი ქვეყანაა. საუკუნეების განმავლობა-



ში გეოპოლიტიკური მდგომარეობით განპირობებული ურთულესი პოლიტიკური პრობლემებისა და გამუდმებული ბრძოლების გამო ქართულმა კულტურამ თვითმყოფადობა შეინარჩუნა და, მიუხედავად უცხო ერებთან მუდმივი კონტაქტისა, კიდევ უფრო უნიკალური გახდა. თუმცა საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ენასა და კულტურაში ახდენდა.

ქართველებს უძველესი დროიდან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან: ასურეთთან, ურარტუსთან, ხეთებთან, შემდგომში ბერძნებთან, რომის იმპერიასთან, სომხეთთან, ბიზანტიასთან, არაბეთთან, თურქეთთან, მონღოლეთთან, სპარსეთთან. ამისი დასტურია უცხოური საისტორიო წყაროები, რომლებიც ბრწყინვალე მასალას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურა მიუხედავად მძიმე ისტორიული პროცესებისა, არასოდეს ყოფილა სწორხაზოვანი, ჩაკეტილი, დახშული, ის ითვისებდა საუკეთესოს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური სამყაროდან, რისი დასტურიცაა ჩვენი ლიტერატურა, ფოლკლორი, არქიტექტურა, მეცნიერება, პოეზია.

რთულმა გეოგრაფიულმა არეალმა მრავალჯერ შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესი. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერიის დაცემა, როდესაც საქართველო იზოლაციაში მოექცა. ოსმალების მიერ შავი ზღვის დაკავებამ იგი მთლიანად მოსწყვიტა ევროპას და ისლამურ გარემოცვაში ჩაკეტა. ამან განაპირობა ქვეყნის დაშლა, რასაც თავისუფლებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის თითქმის ოთხასწლოვანი ბრძოლა მოჰყვა და საბოლოოდ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით დასრულდა. გამუდმებულ ომიანობას ბოლო მოეღო და „მშვიდობა“ დამყარდა, რომლის ფასი დიდი იყო. 117 წელი რუსეთი საქართველოს რუსიფიკაციას მიზანმიმართულად ახორციელებდა: ებრძოდა ქართულ ენას, დამწერლობას, საქართველოს ეკლესიას. ამ მძიმე ბრძოლაში ქართველმა ერმა შეძლო შეენარჩუნებინა საკუთარი იდენტობის განმსაზღვრელი — ენა, ქრისტიანული სარწმუნოება, კულტურული მემკვიდრეობა, ყოფითი ტრადიციები.

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციას მოჰყვა ჯერ საქართველოს ეკლესიის 1811 წელს გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა, ხოლო 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. სამწუხაროდ, პირველი ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკა 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილად იქცა, მაგრამ ქართულმა სიტყვამ, ქართულმა კულტურამ შეფარვით, იუმორით, სარკაზმით ხანდახან სისტემის კათაკმევით, შეძლო თავის გატანა და „საბჭოური კულტურის“ შექმნა, რომელიც მსოფლიო კულტურის შემადგენელი ნაწილი გახდა (ქართული ნაციონალური ცეკვა, ოპერა, ბალეტი, თეატრი, კინო, მხატვ-



რობა, მწერლობა, არქიტექტურა...).

1991 წლის 9 აპრილს ქართველი ხალხის ნების — საყოველთაო პლებისციტის საფუძველზე საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც ჩაკეტილი საზღვრების გახსნა მოჰყვა. კარი გაიღო ჩვენი ქვეყნის მონახულების ყველა მსურველისთვის. მისი

უნიკალური მატერიალური და სულიერი კულტურა, ყოფითი ტრადიციები, სამზარეულო, კურორტები ხელმისაწვდომი გახდა უცხოეთის მოქალაქეთათვის. ნიშანდობლივია, რომ დღეს საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას და უცხოელი პარტნიორების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ქართული კულტურისადმი გამოხატავს იუნესკო, რომელმაც მისი კულტურის ძეგლები (მატერიალური და სულიერი) მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიყვანა. ქართული კულტურა მსოფლიო კულტურის საგანძურს წარმოადგენს.

ამ მნიშვნელოვანი ფაქტების გათვალისწინებით, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, თავი მოგვეყარა იმ კულტურული და არქიტექტურული ძეგლებისთვის, რომლებიც საქართველოს ორ უძველეს დედაქალაქშია წარმოდგენილი. ამავე დროს ჩვენი ყურადღების არეალში მოვაქციეთ ეროვნულ უმცირესობათა მატერიალური კულტურის ძეგლებიც, ვინაიდან საქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის წარმომადგენლები. ამ კუთხით განსაკუთრებით უნიკალურია საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, სადაც ყველაზე მეტადაა გამოხატული ქართველთა ტოლერანტული ბუნება. აქ ერთდროულად გვხვდება მართლმადიდებლური, გრიგორიანული, მუსლიმური, კათოლიკური ტაძრები, ებრაელთა სინაგოგა, იეზიდთა სალოცავები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორია რუსეთის იმპერიისა და კომუნისტური რეჟიმის მმართველობის პერიოდებში მუდმივად ყალბდებოდა, ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, ხდებოდა მოვლენათა არასწორი ინტერპრეტაცია. მულტიეთნიკურობა და ტოლერანტულობა ხშირად სეპარატისტულად განწყობილ ერებს ქართული ძეგლების მითვისებისკენ უბიძგებდა, რაც გარკვეულ გაუგებრობასა და უხერხულობას ქმნიდა და ქმნის. ეს საკითხები წიგნში ფართოდ არის განხილული.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თბილისის კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს. განხილულია ქალაქის მოკლე ისტორია, ის ეთნოკულტურული და ეთნოკონფესიური კავშირები, რაც აქ საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. თბილისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო სხვადასხვა ეპოქაში განვითარებულ ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა (სწორედ ჩვენი დედაქალაქი იყო დაარსების დღიდან კავკასიის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი). მსოფლიოში არ მოიძებნება ქალაქი, რომელსაც ამდენი შემოსევა და ნგრევა განეცადოს (დაახლოებით 23-ჯერ არის გადამწვარი) ამიტომაა, რომ აქ უძველესი ისტორიული ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, თუმცა მრავალი დანგრეული და გადამწვარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სასულიერო და საერო შენობა-ნაგებობა უკანასკნელი 20-25 წლის პერიოდში აღდგა და განახლდა პირვანდელი სახით.

დღემდე შემორჩენილი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობანი ძირითადად XIXს-ს განეკუთვნება. ქალაქის ეს სტილისტიკა კარგად აჩვენებს საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ნაშრომში თბილისის არა მარტო სასულიერო ნაგებობანია წარმოდგენილი, არამედ საცხოვრებლები, სახლები, მუზეუმები, თეატრები.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ქართლის (იბერიის) სამეფოს უძველესი დედაქალაქის - მცხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სასულიერო და საერო არქიტექტურა, რომელმაც განვითარების მრავალი ეტაპი განვლო. წიგნში შესულ ძეგლებს უდიდესი სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისთვის. მცხეთა 800-ზე მეტი



წლის განმავლობაში წარმოადგენდა იბერიის სამეფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრს. იბერიის, ანუ ქართლის, სამეფო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვ. წ. აღრიცხვამდე I ათასწლეულში ჩამოყალიბდა. მცხეთა ქრისტიანობამდეც და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგაც იყო ქვეყნის სულიერი ცენტრი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მისი შემოგარენი მდიდარია არქიტექტურული ძეგლებითა და არქეოლოგიური მასალებით. ამ ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის 200-ზე მეტი ძეგლია. აქ აღმოჩენილია სამაროვნები და ნამოსახლარები ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ადრეული ხანის სხვადასხვა თავდაცვითი და საქალაქო ნაგებობა: სასახლის, აბანოებისა და სხვა ნანგრევები (არმაზი, ბაგინეთი, ძალისი და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ იმ უძველეს დროში მცხეთა იყო არა მარტო ქართველებით დასახლებული სამეფო ცენტრი, არამედ სხვა ეთნოსის საცხოვრისიც, რაზედაც მიუთითებს მცხეთის უბნების სიმრავლე „ბაგინი ჰურიათა“, „მოგვთა უბანი“ და „მოგვთა ხიდი“. რაც შეეხება მაღალმთიან რეგიონს – ფშავს, ხევსურეთსა და ხევს, მათ ისტორიულად ჰქონდათ ყოველთვის უდიდესი სტრატეგიული დანიშნულება, რასაც განსაზღვრავდა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. სწორედ ამ რეგიონშია შემორჩენილი ყველაზე კარგად, არქაული ეპოქიდან მოყოლებული, ტრადიციული ყოფა და კულტურა, სინკრეტული რელიგიური ჩვევები. ქართლის მთიანეთის განსაკუთრებულობა რეგიონს უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის არა მარტო მეცნიერული კვლევისა და შესწავლის, არამედ ტურისტული პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით.

წიგნში წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, თითეულს, თავისი დიდი ისტორია გააჩნია, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს უკავშირდება. ნაშრომი ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურასა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოებული ექსპედიციის მასალებს. წიგნი „თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურის ძეგლები“ განკუთვნილია არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. ნაშრომს ერთვის ინგლისურ ენაზე ვრცელი რეზიუმე და მისი გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ გვერდზე „ივერიონი“
http://dspace.nplg.gov.ge/

ესაუბრა
ციცინო ბუკია

# დიდი ადამიანები

## ვინ იყვნენ ქალები, რომლებმაც საქართველოს ისტორია შეცვალეს....



1918 წლის დამოუკიდებლობის აქტს 5 ქალი აწერს ხელს.

„1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევს, 5 საათსა და 10 წუთზე, თბილისში, გოლოვინის გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომლითაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. დამოუკიდებლობის აქტს მამაკაც დეპუტატებთან ერთად ხელი მოაწერეს დეპუტატმა ქალებმაც“, - იუწყებოდა მაშინდელი ქართული პრესა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ზუსტად 6 თვეში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება დაამტკიცა, სადაც ჩაიწერა, რომ „დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება

აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეთ, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შეუსრულდებათ.“ ამით, ფაქტობრივად, საქართველო რიგით მერვე ქვეყანა გახდა, სადაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება მიეცათ.

1919 წელს ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით კენჭს ოცზე მეტი ქალი იყრიდა, წევრის სტატუსი 130-მა დეპუტატმა მოიპოვა, რომელთაგან ხუთი ქალი გახლდათ: ელისაბედ ბოლქვაძე, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე და ანა სოლოღაშვილი. ყველა მათგანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.

მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობა იშვიათი მოვლენა იყო, ქართველმა ქალებმა მოახერხეს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, არჩევნების პირველსავე ეტაპზე, დეპუტატები გახდნენ.

ამჯერად სწორედ პირველ ქართველ დეპუტატ ქალებზე გვინდა მოგითხროთ. მებრძოლ და წარმატებულ ქალებზე, რომლებმაც შეცვალეს საქართველოს ისტორია...

როგორც დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, თითოეულ მათგანს ძალიან საინტერესო ბიოგრაფია აქვს.

„...კამათის დროს არავის ვუთმობდი, მაგრამ როცა კრებიდან გამოვდიოდით, ქუჩაში ბევრ რამეს ვივიწყებდი და ვცდილობდი, მტრული განწყობილება არ დამრჩენოდა მოწინააღმდეგეებთან. უნდა ვაღიარო, რომ ამას არასოდეს ვნება არ მოუტანია ცხოვრებაში არც პირადად ჩემთვის და არც საქმისთვის...“ – წერს ერთ-ერთ მოგონებაში მინადორა ტოროშელიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მენშევიკი, სოციალური მოღვაწე. ასეთი იყო მისი შეუპოვარი ბრძოლის უნარი, ქალური ლოგიკა და უტყუარი ალღო...



მინადორა ტოროშელიძემ ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია დაამთავრა. 1901 წელს სასწავლებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა, წარმატებით ჩააბარა ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და მაშინვე ჩაება მარქსისტულ წრეებში. მოგვიანებით, ჟენევაშივე გაცნობილ მეუღლესთან ერთად, თბილისში დაბრუნდა და აქტიურ „მენშევიკურ“ საქმიანობას ეწეოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არალეგალურად მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. ანტისაბჭოთა მოღვაწეობის გამო მინადორა ტოროშელიძე რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს. დაუხვრიტეს ქმარი და შვილები. 1936 წელს განსაკუთრებულმა სამეულმა მას 5 წლით ყაზახეთში გადასახლება მიუსაჯა. სასჯელის ვადა 1945 წლის 5 ივნისს დაუმთავრდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს და სასჯელი კიდევ 3 წლით გაუგრძელეს. საქართველოში 1950 წელს დაბრუნდა, გარდაიცვალა 1967 წლის 19 ოქტომბერს თბილისში.

„...ის კრებდა საქალაქო და რეალური სკოლის მოსწავლეებს და ასწავლიდა მათ „მარსელიეზას“ სიმღერას, ბულვარში სიტყვით მიმართავდა ხალხის ტალღას, ამბობდა, რომ საჭიროა, ხალხმა თავი მოუყაროს თავის ძალებს. სახალხო პროცესიებს ის ხშირად მიუძღოდა წითელი დროშით“... – ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, მენშევიკი, პირველი პარლამენტის წევრი, მასწავლებელი.



ელეონორამ ქალთა გიმნაზია თბილისში დაამთავრა. 1905 წელს მეუღლეთან ერთად სოხუმში გადავიდა, სადაც კერძო სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. იყო მენშევიკური მთავრობის წევრი. 1917 წლამდე ელეონორა სამჯერ იყო დაპატიმრებული. ოკუპირების შემდეგ იგი საქართველოში დარჩა. აქტიურად იყო ჩართული საპროტესტო მოძრაობაში. მისი ბინა თბილისში უდელის (ამჟამინდელი პეტრიაშვილის) ქუჩაზე, N14-ში მუდმივ თვალთვალს ექვემდებარებოდა.

1922 წლის 10 თებერვალს, საქართველოს ოკუპაციის წლისთავის აღნიშვნისას, დაგეგმილი ანტისაბჭოთა დემონსტრაციების აღსაკვეთად საქართველოს საგანგებო კომისიამ იზოლაციის მიზნით დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების ლიდერებისა და აქტიური წევრების დაპატიმრება. ელეონორა მახვილაძე საქართველოს ჩეკას ორდერით დააპატიმრეს საკუთარ სახლში 13 თებერვლის ღამეს.1922 წლის 14 ივლისს გაათავისუფლეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიამ ელეონორა მახვილაძე 1926 წლის 22 თებერვალს კვლავ დააპატიმრა და გადაასახლა. გადასახლებიდან 1930-იან წლებში დაბრუნდა და კვლავ მასწავლებლობა განაგრძო. გარდაიცვალა საკუთარ სახლში, თბილისში, 1930-იანი წლების პირველ ნახევარში, ზუსტი თარიღი უცნობია.

„...წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ვცნობ, არ უარვყოფ, რომ სადაც კი ვიყავი გადასახლებაში, ყველა ჩემს ამხანაგთან – გადასახლებულ მენშევიკებთან კარგი ურთიერთობა მქონდა და ისინი ჩემთან დადიოდნენ ხოლმე. არ უარვყოფ, რომ მქონდა მიმოწერა ამხანაგებთან, არ უარვყოფ, რომ ყოველთვის მზად ვიყავი და ვარ, დავეხმარო გადასახლებულ ამხანაგებს, რომლებიც მატერიალურ სახსრებს საჭიროებენ, მაგრამ კატეგორიულად უარვყოფ, რომ გადასახლებაში ვეწეოდი რაიმე არალეგალურ, მენშევიკურ საქმიანობას; ყველა ჩემი კავშირი და ამხანაგური დახმარება წარმოადგენდა პირად სურვილს და არ ატარებდა პარტიულ ხასიათს ...“, – ლიზა ბოლქვაძე-ნაკაშიძე, მენშევიკი, დამფუძნებელი კრების წევრი.

1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ლიზა ბოლქვაძე ჩაბმული იყო ანტისაბჭოთა მოძრაობაში, რის გამოც დააპატიმრეს და 1923 წლის 2 მაისს ურალის მხარეში გადაასახლეს.

ლიზა ბოლქვაძე-ნაკაშიძე საქართველოში 1925 წელს დაბრუნდა. თავდაპირველად გურიაში ცხოვრობდა, მალევე ჩამოვიდა თბილისში და პოლიტპატიმართა ოჯახების დახმარება დაიწყო, თუმცა 1926 წელს კვლავ დააპატიმრეს. დაკითხვაზე უარი თქვა მიეცა ინფორმაცია პარტიული კავშირებისა და პარტიის მდგომარეობის შესახებ. მან აღიარა, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, კვლავ განაგრძო არალეგალური ანტისაბჭოთა საქმიანობა, მაგრამ თავი დამნაშავედ არ სცნო. ამის გამო 3 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს და კრასნოიარსკის მხარეში გადაასახლეს. დაპატიმრების შემდეგ სასჯელი სამი წლით გაუხანგრძლივეს და საერთოდ აუკრძალეს ურალსკის ოლქის ფარგლებს გარეთ გასვლა.

1937 წლის 13 თებერვალს განსაკუთრებულმა სამეულმა (ე.წ. „ტროიკა“) ელისაბედ ნაკაშიძეს დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 22 თებერვალს, ქალაქ მინუსინსკში.



ანა სოლოღაშვილი – მასწავლებელი, მენშევიკი. პირველად ანა 1912 წლის 16 აგვისტოს დააპატიმრეს „არსებული წესწყობილების საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით“. სასამართლომ ბრალდება დაუსაბუთებლად ცნო.



1917 წელს ანა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს. იგი გორის ქალთა ინტერნაციონალური კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. 1919 წლიდან კი თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ანა სოლოღაშვილი წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაება. იგი მუშაობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქალთა კომიტეტში, რომელიც ჩუმად ეხმარებოდა პოლიტიკურ პატიმრებსა და მათ ოჯახებს. 1922 წლიდან კომიტეტი ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმთან მებრძოლი პარტიების ერთიან ორგანიზაციად – „საქართველოს პოლიტიკურ წითელი ჯვრად“ გარდაიქმნა.

1925 წლიდან ანა სოლოღაშვილი ცხოვრობდა და მუშაობდა მასწავლებლად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

1937 წელს იგი დააპატიმრეს „ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდისა და შოვინისტური განწყობების გამო“, მას დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 28 ნოემბრის ღამეს.

„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაზე შემიძლია ვსთქვა, რომ აქ არის ხსენებული ძალა უფლება შემოსული რუსეთის წითელი ჯარის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს რეალურ ძალას და მთავრობა შემდგარი ქართველებისაგან წარმოადგენს მხოლოდ ფიქციას და ბატონობა საქართველოში არის უცხო ხალხისა...“, – ქრისტინე შარაშიძე, მენშევიკი, მასწავლებელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.

ქრისტინე შარაშიძე 1919 წლის დამფუძნებელი საბჭოსა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. მუშაობდა ჟურნალისტად და მასწავლებ-



ლად. აქტიურად იყო ჩაბმული ანტისაბჭოთა მოძრაობაში. 1905-1906 წლებში მონაწილეობდა თბილისის რევოლუციურ გამოსვლებში. ამზადებდა საგაზეთო ინფორმაციებს და პარალელურად სამედიცინო დახმარებას უწევდა დაშავებულებს.

1907 წელს მუშაობა დაიწყო მარიამ ყაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიაში. კითხულობდა საჯარო ლექციებს. ქრისტინე პირველ ქართველ ლექტორ ქალად ითვლება. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ საქართველოში დარჩა და წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი გახდა. საქართველოს ოკუპაციის წლისთავის აღნიშვნისას დაგეგმილი ანტისაბჭოთა დემონსტრაციების ლიდერობის გამო ქრისტინე შარაშიძე 1922 წლის 17 თებერვალს დააპატიმრეს და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მისი ოჯახის წევრები კი დახვრიტეს. გარდაიცვალა 1973 წლის 10 ნოემბერს, თბილისში.

ხუთივე ქალის ისტორია თითქმის იდენტურია – ბრძოლით, შემართებით, წარმატებითა და ტრაგიზმით სავსე.... მათ სამშობლოს სიყვარულისთვის ასამართლებდნენ და ბოლოს, სამშობლოს სიყვარულისთვის დახვრიტეს... თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მათ შეძლეს ყოფილიყვნენ პირველი ქალები, რომლებიც მზად აღმოჩნდნენ ცვლილებებისა და ახალი გამოწვევებისთვის....

ასე ჩნდება ისტორიაში გმირობის მაგალითები და იწერება ახალი ფურცლები....

ანა ჯანიკაშვილი

# სპორტი

## სტუდენტური ჩემპიონატი ბილიარდში

10-12 თებერვალს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საბილიარდო კლუბ „რიოში“ სტუდენტური ჩემპიონატი გაიმართა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელით ტურნირში მონაწილეობა გიგი და ერეკლე ხიტალიშვილებმა მიიღეს. პირველ ეტაპზე მათ უდანაკარგოდ იასპარეზეს და ყველა მოგებით თავიანთ ქვეჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს.

ნახევარფინალში ძმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, გამარჯვება ერეკლე ხიტალიშვილმა მოიპოვა. მან ფინალურ შეხვედრაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი დავით ავაკიანი 7-4 დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

გიგი ხიტალიშვილმა მესამე ადგილისთვის გამართული შეხვედრა წარმატებით დაასრულა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.






## CIU - EU 4:1

14 თებერვალს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ფუტსალის ლიგის 2019-2020 წწ-ის სეზონის მერვე ტურის შეხვედრები გაიმართა. სათამაშო დღე ფუტსალის ლიგა 2-ით დაიწყო, სადაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტს დაუპირისპირდა. გუნდების პირველი წრის შეხვედრისგან განსხვავებით (6:4), მატჩი უხვგოლიანი არ გამოდგა.

კსუ მეთერთმეტე წუთზე წინ გიორგი ღავთაძის გოლით გავიდა. მეორე ნახევარში მერაბ ბოლოთაშვილმა დუბლი გაიფორმა, ერთი გოლი ლუკა ფარცვანიამ მიითვალა და EU საბოლოოდ უშუალო კონკურენტთან 4:1 დამარცხდა.

კსუ-მ ამ გამარჯვებით სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა.

**გიორგი ღავთაძე:**

„ვიცოდით, რომ დაძაბული თამაში გვექნებოდა. ახალი მოთამაშეები დავიმატეთ და ჯერ შეთამაშება გვაკლია. დრო გვჭირდება, რომ კარგად დავამუშაოთ ის ტაქტიკა, რომელსაც მწვრთნელები გვასწავლიან. პირველი ტაიმი უფრო რთულად ჩავატარეთ, შემდეგ მოწინააღმდეგის შეცდომების ხარჯზე სამი გოლი გავიტანეთ. ამ ეტაპზე, პლეიოფში გასვლა მთავარი მიზანია და ჩემპიონატში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

## კსუ–მ UG-სთან დიდი ანგარიშით გაიმარჯვა

6 მარტს ფუტსალის ლიგა 2-ის XI ტურში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს უნივერსიტეტს დაუპირისპირდა.

„საუნივერსიტეტო დერბი“ თავიდანვე კსუ-ს უპირატესობით წარიმართა, გუნდი მალევე წინ გავიდა. მეორე ტაიმის ერთწუთიან ინტერვალში კსუ-მ სამი გოლის გატანა შეძლო, მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა და საბოლოოდ UG დიდი ანგარიშით 11:2 დაამარცხა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ბექა ბექაური დასახელდა.

არსებული მონაცემებით, ფუტსალის ლიგა 2-ში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი 10 მატჩიდან 21 ქულით მეორე ადგილს იკავებს (7 მოგება, 0 ფრე, 3 წაგება).

ლიგა 2-ში სულ 6 გუნდი მონაწილეობს. სეზონის დასრულების შემდეგ პირველ ადგილზე გასული გუნდი ფუტსალის ლიგაში ალზევდება, ხოლო მეორე ადგილზე გასული – გადათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.




მთავარი რედაქტორი:
ციცინო ბუკია

სარედაქციო კოლეგია:
ნინო ჭალაგანიძე
ანუკი წივწივაძე
ზაზა ცოტნიაშვილი
ანა ჯანიკაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი გოგოხია

ჩვენი მისამართია: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ნაძალადევის რაიონი, სანზონა, ჩარგლის ქუჩა № 73,
ტელ: (995 32) 210 52 03, (995 32) 261 12 98, (995 32) 294 59 92, (995 58) 10 21 33
ვებგვერდი: www.ciu.edu.ge
მოგვძებნეთ სოციალურ ქსელებში: http://www.facebook.com/CIUniversity